



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ქალის ექსპონენტური შესაქლებლობა და მისი გავლენა
სამხედრო აღიანსის დინამიკაზე

ნიკოლოზ ესიტაშვილი

146

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ნიკოლოზ ესიტაშვილი

**ქალის ექსკონენტური შესაძლებლობა და მისი გავლენა
სამხედრო ალიანსის დინამიკაზე**

146

2020



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-2776-1

შესავალი

საბჭოთა ბლოკის დანაწევრება 1989 წლის ივნისში პოლონეთში დაიწყო. შემდგომში მასობრივმა პროტესტებმა აღმოსავლეთ ევროპაში, 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედლის დანგრევამ და ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედმა შიდა ფაქტორებმა საბოლოოდ გამოიწვია სსრკ-ის ჩამოშლა და ცივი ომის დასრულება 1991 წელს. რეალისტური ლოგიკის მიხედვით, საბჭოთა კავშირმა, როგორც პრინციპულმა მეტოქემ და საფრთხემ, განაპირობა ნატოს შექმნა და საფუძველი დაუდო მის სამხედრო და გეოსტრატეგიულ ოპერაციებს 1991 წლამდე, თუმცა ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის გაქრობის მიუხედავად, სამხედრო ალიანსი მაინც აგრძელებს არსებობას. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, ნატო წარმატებულად გაფართოვდა, პრაქტიკულად ხელშეუხებლად შეინარჩუნა თავისი შინაგანი სტრუქტურა და ორგანიზაცია, ჩადო ინვესტიციები ახალ სამხედრო შესაძლებლობებში და ჩაერთო სხვადასხვა „ახალ“ სამხედრო მისიაში, რითაც გააღრმავა მისი ნევრების პასუხისმგებლობა და ხელახლა განსაზღვრა თავდაპირველი გეოსტრატეგიული ფუნქცია და მიზანი.

ზოგის მტკიცებით, ნატოს გადარჩენა გასაკვირი არ არის. პირიქით, ის არის აშშ-ის პოლიტიკური და სამხედრო სტიმულისა და ინტერესის შედეგი, რისი მიზანიცაა გარკვეული პოლიტიკური და სამხედრო კონტროლისა და მმართველობის შენარჩუნება ევროპასა და მის მოკავშირეებში. სხვები ირწმუნებიან, რომ ევროპელები და ჩრდილოამერიკელები ნამდვილად არ მიიჩნევენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით და მისი რუსეთის ფედერაციით ჩანაცვლებით მთლიანად გაქრა ნატოს მოკავშირეთათვის არსებული გეოსტრატეგიული საფრთხე. მიიჩნევენ, რომ ეს გარემოება განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ჩამოყალიბდა ძლიერ ავტოკრატად რუსეთში. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა ნატოს შენარჩუნების საჭიროება. უფრო მეტიც, სხვები ამტკიცებენ, რომ ნატო, როგორ ინსტიტუტი, უზრუნველყოფს შესაბამის ურთიერთგაცვლას შეტევითი შესაძლებლობის გაძლიერების მსურველ გარკვეულ ევროპულ სახელმწიფოებსა და

შეერთებულ შტატებს შორის, რომელსაც ევროპელი პარტნიორები-სგან თავისი ლეგიტიმაციის აღიარება სურს. ამ გაცვლის პირობები ამართლებს ნატოს არსებობის მიზეზს. სხვები კი ამტკიცებენ, რომ ნატოს მსგავსი სამხედრო ალიანსის გაუქმება ან გადარჩენა „მგრძნობიარეა ცვლილებების მიმართ ძირითად მხარდამჭერ შიდა კოალიციებში“, თუმცა ალიანსების გაუქმება ნაკლებად სავარაუდოა დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ვიდრე არადემოკრატიულში. შესაბამისად, ნატო აგრძელებს არსებობას. ინსტიტუციური თვალსაზრისით, სხვები ყურადღებას ამახვილებენ ნატოს როლის ჩამოყალიბებასა და თავიდან განსაზღვრაზე მისი შექმნიდან ანომალიურ გადარჩენამდე 1991 წლის შემდეგ. ბოლოს, ზოგის თვალთახედვით, საბჭოთა კავშირის დაშლამ ბიპოლარული სამყარო გარდაქმნა მულტიპოლარული უსაფრთხოების უფრო ცვალებად სისტემად, რამაც გზა გაუხსნა რუსეთს, ჩინეთსა და სხვა პოტენციურ საერთაშორისო აქტორებს შორის მრავალმხრივი, მოქნილი სამხედრო ალიანსების შესაძლებლობას ამერიკისა და ნატოს მოკავშირე სხვა დიდი ძალების წინააღმდეგ. ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში გაჩნდებოდა, თუ სამხედრო ალიანსი დაიშლებოდა იმ ისტორიული მაგალითების მსგავსად, როგორებიც იყო ანტანტა და ცენტრალური ძალები 1918 წელს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და გაერთიანებული ძალები, რომელმაც დაამარცხა ლერძის ძალები 1946 წელს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ისტორიული პრეცედენტების შესაბამისად და რეალისტურ თეორიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, ბევრი ექსპერტი ვარაუდობდა ნატოს დაშლას, რადგან ძირითადი სისტემური ან ზოგადი (ცხელი ან ცივი) ომების დასრულების შემდეგ გამარჯვებული ალიანსის წევრები ჩვეულებრივ ტოვებენ ალიანსს დიდი ძალების შეცვლილი ეროვნული ინტერესების, ძალთა ახლებური გადანაწილებისა და საერთო სისტემური საფრთხის გაქრობის გამო. შესაბამისად, ზოგიერთი ამ ჯგუფში ეჭვის თვალთ უყურებს ნატოს მომავალს. სხვები კი ნატოს ხსნიან, როგორც განვითარებად ხედვასა და პრაქტიკას, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს „ჩვენი წარმოდგენები, ზოგადად, უსაფრთხოების ლოგიკის შესახებ და კონკრეტულად, ევროპული უსაფრთხოებისა და ევროპული ალიანსის შესახებ“.

აღნიშნული არის ზემოხსენებული ინტერპრეტაციებიდან უკანასკნელი და სხვა თეორიული დაშვებებისა და ხედვებისგან

განსხვავებით, უფრო ახლოს დგას ნატოს შიდა გაღრმავებისა და ამის შედეგად მისი მდგრადობისა და გაფართოების ახსნასთან, რასაც ამ სტატიაში გთავაზობთ. ეს ინტერპრეტაცია, თავის მხრივ, დამაბნეველი პოლიტიკური საკითხია და თან კონტინტუიციურია, როდესაც განიხილება რეალისტური პოზიციიდან და სამხედრო ალიანსის დინამიკის შესახებ მისი თეორიების შიდა ლოგიკიდან. პირველ რიგში, როგორც ზემოთ არის განხილული, ნატოს გეოსტრატეგიული მეტოქე – საბჭოთა კავშირი დაიშალა და ამგვარად, მასთან ერთად გაქრა საპირისპირო სამხედრო ალიანსის საჭიროება. გარდა ამისა, ჩინეთს და რუსეთს ცალ-ცალკე არ აღმოაჩნდათ უნარი დაეხალანსებინათ ან საფრთხე შეექმნათ ბოლო 25 წლის მანძილზე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში განლაგებული ნატოს კონვენციური ძალებისთვის. ბოლოს, ცივი თუ ცხელი ომების დასასრული და შემდგომში იდენტიფიცირებადი საფრთხის არარსებობა, როგორ ისტორიაც აჩვენებს, მიუთითებს სამხედრო ალიანსების დაშლაზე. ამდენად, ეჭვგარეშეა, ნატოს მდგრადობის გაძლიერება და გაფართოება საკვანძო საკითხებია, რომლებიც დამატებით, სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს ისტორიული, გეოპოლიტიკური, სტრატეგიული და თეორიული მიმართულებების გადმოსახედიდან.

ამ ნაშრომის მთავარი მიზანია გააანალიზოს, თუ რატომ განმტკიცდა და თანაც გაიზარდა თანამშრომლობა ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის ცივი ომის დასრულების შემდეგ. კვლევა მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება სამხედრო ალიანსების შესახებ თეორიული ლიტერატურისთვის. წარმოჩნდება, რომ სამხედრო წარმოების პოლიტიკური ეკონომიკა, ცვლადი, რომელსაც ზოგადად არ აქცევენ ყურადღებას სამხედრო ალიანსების დინამიკის ახსნისას, შესაძლოა წარმოადგენდეს განმსაზღვრელ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ალიანსთან დაკავშირებით სახელმწიფოთა გადანყვეტილებებზე.

თეორიული პერსპექტივა

საერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმის სხვადასხვა ვერსია, კლასიკურიდან ნეოკლასიკურ რეალიზმამდე, ყურადღებას ამახვილებს სამხედრო ძალაზე, როგორც დიდ ძალებს შორის სამხ-

ედრო ალიანსის დინამიკის ყველაზე მნიშვნელოვან მსაზღვრელზე.¹ ნეორეალიზმის მიმდევარი მეცნიერები მულტილატერალურ ბალანსში სახელმწიფოების ჩართულობის შესახებ სამ განსხვავებულ თეორიას გვთავაზობენ: ესენია ძალთა ბალანსის, საფრთხის ბალანსისა და ინტერესთა ბალანსის თეორიები.² პარადოქსულია, რომ არც ერთი ეს თეორია არ ხსნის, თუ რატომ ითანამშრომლებენ ალიანსის წევრები და, რაც არსებითად მნიშვნელოვანია, გააღრმავებენ სამხედრო თანამშრომლობას, მაგალითად, სამხედრო წარმოებაში, მშვიდობის დროს და აშკარა და უშუალო საგარეო საფრთხის ან ობიექტის არარსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე ნაშრომში ვამტკიცებთ, რომ მატერიალური შესაძლებლობების ტრადიციული ახსნა უნდა გაფართოვდეს და მოიცვას ახალი პოლიტი-ეკონომიკური ცვლადები. ეს დაგვეხმარება ძალაუფლების მახასიათებლებისა და კონკრეტული ალიანსის არჩევანზე მისი გავლენის ახსნაში. კვლევაში შევეცდებით განვმარტოთ, რომ ბაზრის ნაკლოვანებები, როგორებიცაა მასშტაბის ეკონომიკა, მოცულობის ეკონომიკა, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის მოდელი, აღმავალი კვლევა და განვითარების ხარჯები სამხედრო წარმოებაში თანამშრომლობას კარგად ხსნის, მათ შორის, გარე საფრთხის არარსებობის შემთხვევაში.

ბაზრის ნაკლოვანებები სამხედრო წარმოებაში

რამდენიმე ავტორს უნერია მასშტაბის ეკონომიკის, მოცულობის ეკონომიკის, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის მოდელისა და სხვა ეკონომიკური ფაქტორების გავლენაზე სამხედრო წარმოებაში. ჰაროლდ აშერმა აჩვენა, რომ „სწავლების მრუდე“ მიემართება ავიამშენებლობას, სადაც ერთეულის ხარჯები მცირდება საკმაოდ განჭვრეტადი მოდელით წარმოების ზრდასთან ერთად.³ მალკოლმ ვ. ჰოუგმა ასევე აჩვენა, რომ მასშტაბის ეფექტი განსაკუთრებული სიხშირით იჩენს თავს სამხედრო მიმართულებით. შტიფან მარკოვსკისა და სხვების მიხედვით, მასშტაბის, მოცულობისა და სწავლების ეკონომიკა გავლენას ახდენს თავდაცვის ინდუსტრიის ხარჯის თავისებურებაზე და ამგვარად, ბიძგს აძლევს ინდუსტრიის სტრუქტურას შეიცვალოს ეროვნულ და გლობალურ დონეზე.⁴

სანდლერი და ჰარტილი ამტკიცებენ, რომ საკუთრივ მასშტაბის ეფექტს ადრე შესაძლოა მხოლოდ ზომიერი გავლენა ჰქონოდა თავდაცვის ინდუსტრიის სტრუქტურაზე, მაშინ, როდესაც სწავლების ეკონომიკისა და მისი გავლენა უფრო სარწმუნო იყო. თუმცა, 1990-იანი წლებიდან, მასშტაბის ეკონომიკასაც ასევე დიდი გავლენა აქვს.⁵ დიუნი ფიქრობს, რომ აამჟამინდელი ხელისუფლებები უფრო აქცევენ ყურადღებას მცირე ეროვნული წარმოების დამატებით ხარჯებს და უფრო ემხრობიან არგუმენტს, რომ „მასშტაბის ეკონომიკა შესაძლებელია საერთაშორისო კოლაბორაციისა და ინდუსტრიული რესტრუქტურირების შედეგად“.⁶

ზემოთ მოყვანილი რამდენიმე მოსაზრება მიუთითებს ერთ ძირითად განვითარებაზე: აშკარად ჩანს, რომ ბაზრის ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად მოქმედებს სახელმწიფოების სამხედრო წარმოებაზე. ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოს სახელმწიფოებმა გაზარდეს ერთმანეთთან თანამშრომლობა და შემოიღეს საერთო წესები, რამაც, ჩვენი მტკიცებით, ეკონომიკური ცვლადებისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობა გააჩინა. ერთმანეთთან თანამშრომლობით ნატოს წევრი სახელმწიფოები ნაკლებ რესურსს გამოიყენებენ და ქმნიან თანაბარ ან უფრო მეტ სამხედრო შესაძლებლობას, ვიდრე წარსულში. ნაშრომში ვიკვლევთ, როგორ შეიქმნა ეს პირობები და რა მნიშვნელობა აქვს ნატოს მდგრადობისთვის.

ნატოს წევრების სამხედრო წარმოების საერთო პროექტები

შემცირებული ეკონომიკური ხარჯი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი სტიმულია სახელმწიფოებისთვის, რაც მოიცავს კვლევა-განვითარების (R&D) და წარმოების პროცესებში განეულ ხარჯებს. ერთმანეთთან თანამშრომლობით სახელმწიფოებს შეუძლიათ გაინანვილონ კვლევისა და განვითარების ხარჯები, მიაღწიონ მასშტაბის ეფექტს და დააგროვონ ცოდნა გაზრდილი წარმოების შედეგად. მაგალითად, თუ ორ სახელმწიფოს სურს ერთნაირი მაღალტექნოლოგიური იარაღის განვითარება, რომლის კვლევაც მილიარდობით დოლარი ჯდება, კვლევასა და განვითარებაში ცალკე-ცალკე ინვესტირებით ორმაგი რესურსები დაეხარჯებოდათ და ვერც მასშტაბის ეფექტის უპირატესობით ისარგებლებდნენ, რაც გაზრდილი წარმოების შედეგად მიიღება. ერთობლივი პროექტები

სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი რესურსის დაზოგვის საშუალებას მისცემდა. თანაბარ პირობებში, ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობისას ხარჯების თანასწორი გადანაწილებით დაიზოგება პროდუქტის განვითარების ხარჯის ნახევარი თითოეულისთვის და ამასთან – ერთეულის წარმოებაზე შემცირებული რესურსი დიდი რაოდენობის წარმოებისას.⁷ მაგალითად, ავიამშენებლობის გაორმაგებამ შესაძლოა 300-დან 600 ერთეულამდე დაგვაზოგინოს, ერთეულის წარმოების ხარჯის დაახლოებით 5 პროცენტი. თუ ერთი საჰაერო ხომალდის ღირებულება 50 მილიონია, ერთეულზე დანაზოგი შეადგენს 2.5 მილიონს. ორი სახელმწიფოს თანამშრომლობით თავიდან ავიცილებთ რესურსების დუბლიკაციას და თითოეული სახელმწიფო 5 მილიარდზე მეტს დაზოგავს.⁸

ნატოს წევრი ევროპული სახელმწიფოების ერთ-ერთი მონინავე პროექტია „ტაიფუნის“ (Typhoon) თვითმფრინავი. თვითმფრინავის განვითარებაზე განეული ხარჯი 54 მილიარდს აღემატება. უფრო მეტიც, „ტაიფუნის“ პროექტი შეეხო 100,000 სამუშაო ადგილს 400-ზე მეტ ევროპულ კომპანიაში. აქედან 40,000 სამუშაო ადგილი შეიქმნა ბრიტანეთში, 25,000 – ესპანეთში და 20,000 – გერმანიაში. ამ სამუშაოების დიდი ნაწილი წარმატებით ქმნის მნიშვნელოვან გარეგან ფაქტორებს დანარჩენი ეკონომიკისთვის. „ტაიფუნის“ წარმოებისთვის საჭირო უნარები ასევე გამოიყენება სხვა ინდუსტრიებში. „ტაიფუნი“ მნიშვნელოვან მოგებას იღებს წარმოების მასშტაბისა და სწავლის კომბინირების გზით.⁹ ეს შედეგი მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტია. თავდაცვისთვის შემუშავებული ტექნოლოგიები სხვა ინდუსტრიის პროგრესის წყარო ხდება. ლიტერატურაში ხშირად გამოტოვებულია ეს ეკონომიკურ სარგებელი.

ავიამშენებლობა ძირითადად ხასიათდება არსებითი მასშტაბის ეფექტით. წარმოების მოგება წარმოების რაოდენობის ექსპონენტურად იზრდება. „ტაიფუნი“ 85-პროცენტიანი სწავლების მრუდით იღებს სარგებელს სწავლიდან და, როგორც წესი, 90-პროცენტიანი სწავლების მრუდით იღებს სარგებელს გაერთიანებული შრომითა და სხვა ოპერაციებით.¹⁰ „ტაიფუნის“ შემთხვევაში, სწავლა არსებითი იყო პირველ 60 ერთეულზე. „ტაიფუნმაც“ და ეარბასმაც (Airbus) მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს სწავლის მასშტაბი, წინა თაობებთან შედარებით. ეს მაგალითი აჩვენებს, რომ ევროპული ავიამშენებლობა მუდმივად უმჯობესდება სწავლის მასშტა-

ბის მხრივ, რაც გამოიხატება წარმოების ზრდასა და წარმოების საშუალო ხარჯის შემცირებაში.

„ტაიფუნს“ მოაქვს მნიშვნელოვანი ინდუსტრიული სარგებელი. ის საშუალებას აძლევს ევროპულ ავიამშენებლობას შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და ასევე, კონფლიქტების შემთხვევაში, ქმნის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების განცდას ევროპელებისთვის.¹¹ ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობს, რომ „ტაიფუნი“, სხვა თვითმფრინავებთან შედარებით, ძვირია. მონაცემები ადასტურებს ამ მოსაზრებას. ტაიფუნი 20-60 პროცენტით უფრო ძვირია, ვიდრე, მაგალითად, ფრანგული „რაფალი“ (ლაფალე). ერთეულის ჯამური ხარჯის მიხედვით, ფრანგული „რაფალი“ დაახლოებით 10 პროცენტით იაფია „ტაიფუნზე“, ხოლო შვედური „გრიპენი“ (Gripen) – 50 პროცენტით.¹²

ნატოს სხვა კოლაბორაციული პროექტები ასევე ადასტურებს, რომ საერთო წარმოებას მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. ეროვნულ ალტერნატივებთან შედარებით, თანამშრომლობითი განვითარება 140 პროცენტით მეტი ჯდება (მაგალითად, „მერლინის“ ვერტმფრენი) ორი სახელმწიფოსთვის, 161-179 პროცენტით – სამისთვის (მაგალითად, „ტორნადო“) და თითქმის ორჯერ მეტი – ოთხისთვის (მაგალითად, „ევროფაითერი“). განვითარების ჯამური ხარჯების მეტობის მიუხედავად, თითოეულ პარტნიორს მხოლოდ ნაწილის დაფარვა უწევს. ამრიგად, კოლაბორაციულ სამუშაოებში ჩართული სახელმწიფოები ზოგავენ ხარჯებს. დასავლეთევროპელები თანამშრომლობენ რაკეტების წარმოებაში კომპანიის მემფეობით, რომელსაც ეწოდება MBDA. თანამშრომლობა იმდენად წარმატებულია, რომ MBDA ამჟამად კონკურენციას უწევს ერთერთ ნამყვან ამერიკულ სარაკეტო კომპანიას – „რეიტეონს“ (Raytheon). ამის გარდა, ინგლისელები და ფრანგები თანამშრომლობენ „შტორმის ჩრდილის“ (Storm Shadow) სარაკეტო პროექტში. ასევე, იმედის მომცემია დიდი ბრიტანეთის თაოსნობით განხორციელებული ექვსი ერის საერთაშორისო პროგრამა „მეტეორის“ (Meteor) საჰაერო რაკეტაც, რომელიც ასევე აერთიანებს საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, ესპანეთსა და შვედეთს.

მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია ლოგისტიკურ მხარდაჭერასაც. გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, ბელგია და საფრანგეთი თანამშრომლობენ „სპეის“ (Spey),

„ოლიმპუსისა“ (Olympus) და „ტაინის“ (Tyne) საზღვაო ძრავების ლოგისტიკის მიმართულებით. უხეში გათვლებით, ამგვარი თანამშრომლობა მონაწილე სახელმწიფოებს შენახვა-მოვლის მომსახურების ხარჯების 30 პროცენტს უზოგავს. გაერთიანებული სამეფო და შეერთებული შტატები მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობენ მრავალჯერადი სარაკეტო სისტემისა (Multi-Launch Rocket System) და ტომაჰაკის სახმელეთო დარტყმის რაკეტის (Tomahawk Land Attack Missile) ფარგლებში თანამშრომლობით. ეს სარგებელი მიიღება მასშტაბის ეფექტით, რომელიც ეფუძნება სათადარიგო ნაწილების ერთობლივად შესყიდვასა და საერთო საექსპლუატაციოს დანესებულებების ქონას.¹³

დასავლეთევროპელები წარმატებით თანამშრომლობენ სხვა სავერტმფრენო და სარაკეტო პროგრამებში. მათ შორის არსებითია NH90 ვერტმფრენი, რომელიც არის ოთხ სახელმწიფოს შორის საშუალო ზომისა და მრავალფუნქციური სამხედრო ვერტმფრენის განვითარება-ანყოფის საქმეში თანამშრომლობის შედეგი. ვერტმფრენის მწარმოებლებია N.H. ინდუსტრიები (საფრანგეთი და გერმანია), AgustaWestland და Fokker Aerostructures. ნატოს ვერტმფრენის მენეჯმენტის სააგენტო (NAHEMA) ახორციელებს პროგრამას ნატოს მონაწილე წევრი სახელმწიფოებისთვის. არის ექვსი საამსობრო ხაზი საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ფინეთში, ესპანეთსა და ავსტრიაში. 2011 წელს გაიყიდა 573 ვერტმფრენი. ევროპულმა თანამშრომლობამ ვერტმფრენების მიმართულებით შექმნა ორი ინდუსტრიული ჯგუფი, რომლებიც კონკურენციას უწევენ შეერთებული შტატების ვერტმფრენების წარმოებას.

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის დეპარტამენტის შეფასებით, კვლევაში თანამშრომლობას პარტნიორებისათვის თავდაპირველ ინვესტიციაზე ხუთჯერ მეტი სარგებელი მოაქვს. ასეთი თანამშრომლობა უზრუნველყოფს წვდომას საჭირო ტექნოლოგიაზე, ზოგავს დუბლირებულ ხარჯებს და ზოგადად, იძლევა შეზღუდული ბიუჯეტის უფრო ეფექტურად განკარგვის შესაძლებლობას. გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის დეპარტამენტი ხარჯავს 40 მილიონზე ოდნავ მეტ გირვანქა სტერლინგს სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის პროგრამებზე, რაც თავდაცვის მთლიანი ბიუჯეტის 10 პროცენტზე ნაკლებია. მათი შეფასებით, ისინი იღებენ, დაახლოებით, 200 მილიონი გირვანქა სტერლინგის

ღირებულების ტექნოლოგიას, რაც გაღებულ ინვესტიციას 5-ჯერ აღემატება.¹⁴

დასკვნა: ეკონომიკური იმპერატივები და ჯგუფური ქცევის (Bandwagon Alignment) სტრატეგია

ამრიგად, სტატიაში შევეცადეთ აგვეხსნა ბაზრის ნაკლოვანებების კონცეფცია. გავაანალიზეთ ნატოს რამდენიმე პროექტი მრავალეროვნული თანამშრომლობისგან სარგებლისა და ხარჯების დაზოგვის საჩვენებლად, იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის ნაკლოვანებები და ხარჯების განაწილება არის მოცულობითი მნიშვნელობის და ქმნის „ტექნოლოგიური გადაღვრის“ ეფექტს ეროვნული ეკონომიკის სხვა ინდუსტრიულ სფეროებში. სავარაუდოა, რომ ბაზრის ნაკლოვანებების არსებობის პირობებში, ნატოს ქვეყნები განაგრძობენ და განამტკიცებენ სამხედრო-ტექნოლოგიურ თანამშრომლობას, ხარჯების დაზოგვის მიზნით, მაშინაც კი, თუ გარე საფრთხე მინიმალურია. აშკარაა, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის დიდმა სახელმწიფოებმა ისარგებლეს საერთო პროექტებით. ბაზრის ნაკლოვანებებისგან უპირატესობის მოპოვებით და შედარებით მცირე დანახარჯებით მათ შეინარჩუნეს და კიდევ უფრო გაზარდეს საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები.

არსებული მონაცემების ზოგადი მიმოხილვა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამხედრო წარმოების პოლიტეკონომიკა არსებითი ცვლადია დიდ სახელმწიფოთა შორის ალიანსის პოლიტიკაში. კვლევაში განმარტებულია, თუ რატომ ინარჩუნებენ სახელმწიფოები კავშირს საგარეო საფრთხეების არარსებობის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ის მიგვანიშნებს, რომ შველერის ლოგიკა ინტერესთა ბალანსის თეორიაში ზოგადად მართებულია, განსაკუთრებით, ეკონომიკური ცვლადების გათვალისწინებისას, რომლებიც ასევე ხსნიან მშვიდობიან პერიოდში დიდ სახელმწიფოებს შორის სამხედრო თანამშრომლობას. უფრო ფართო მასშტაბით კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლადების ჩართვა ამდიდრებს რეალისტურ თეორიას სამხედრო ალიანსის დინამიკის შესახებ.

კვლევის თანახმად, სამხედრო ძალას აქვს უნიკალური უნარი – მას შეუძლია ექსპონენტურად გაზარდა წარმოების ხარჯებთან შეფარდებით. ეს დასკვნა მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნებმა

შეიძლება გადაწყვიტონ, რომ ითანამშრომლონ ამ ძალის გასაზრდელად თავიანთი რესურსების გაერთიანებით. ამ მრავალმხრივი მიდგომით, მათ უფრო მეტი ძალის გამოიმუშავება შეუძლიათ ნაკლები რესურსის გამოყენებით, ვიდრე ერთი ტაქტიკის გამოყენებით შეძლებდნენ. ამრიგად, კვლევის მიხედვით, შველერის ინტერესთა ბალანსის თეზისის ლოგიკა მუშაობს მშვიდობიან დროსაც. სტატუს-კვოს ძალები ითანამშრომლებენ, თუკი იქნება ეკონომიკური სტიმული. დაბოლოს, ზემოთ განხილულიდან ჩანს, რომ სანამ სახელმწიფოთა ინტერესები თავსებადია და ეკონომიკური გათვლები და სტიმული – ძლიერი, დიდ ძალებს ექნებათ შიდა და უწყვეტი თანამშრომლობა სარგებლის მიღებისა და მაქსიმალიზაციისათვის, რაც სცდება პოლიტიკის, იდეოლოგიისა და ეროვნული უსაფრთხოების მიზნებს.

ბიბლიოგრაფია

1. John J. Mearsheimer, "Structural Realism," *International Relations Theories* (New York: Oxford University Press, 2010), 79–85, and Richard Little, *The Balance of Power in International Relations: Metaphors, Myths and Models* (Cambridge: Cambridge University Press, 2007), 185.
2. იქვე.
3. Harold Asher, "Cost-quantity Relationships in the Airframe Industry: July 1, 1956," *Rand Corporation*, accessed January 1, 2014, www.rand.org/pubs/authors/a/asher_harold.html
4. Stefan Markowski, Peter Hall and Robert Wylie, *Defense Procurement and Industry Policy: A Small Country Perspective* (London: Routledge, 2010), 96.
5. Todd Sandler and Keith Hartley, "Economics of Alliances: The Lessons for Collective Action," *Journal of Economic Literature*, Vol. 39, No. 3 (September 2001), 18.
6. Paul Dunne and SIPRI Arms Production Program Staff, "Developments in the Modern Arms Industry from the End of the Cold War to the mid-2000s," in *The Modern Defense Industry: Political, Economic, and Technological Issues*, ed. Richard Bitzinger (Santa Barbara: Praeger Security International/ABC-CLIO, 2009), 27-28.
7. Keith Hartley and Todd Sandler, "The Future of the Defense Firm," *Kyklos* 56, no. 3 (2003): 28, www.doi.org/10.1046/j.0023-5962.2003.00225.x
8. Keith Hartley, "The future of European Defence Policy: An Economic Perspective," *Defence and Peace Economics* 14, no. 2 (2003): 43, www.doi.org/10.1080/10242690302921
9. Hartley, "The future of European Defence Policy," 46
10. Keith Hartley, "White Elephants? The Political Economy of Multi-National Defense Projects," *Security and Defence Management*, January 01, (1970): 13, www.defencemanagement.org/article/white-elephants-political-economy-multi-national-defence-projects
11. Hartley, "White Elephants? The Political Economy," 13
12. "Ministry of Defence: Maximising the Benefits of Defence Equipment Co-Operation - National Audit Office (NAO)," National Audit Office, www.nao.org.uk/report/ministry-of-defence-maximising-the-benefits-of-defence-equipment-co-operation/
13. National Audit Office, "Ministry of Defence: Maximising the Benefits."
14. იქვე.